



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492405416

თარიღი:23/02/2024

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



## ა ნ გ ა რ ი შ ი

### ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“- ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ ყოველწლიურად, საჭიროების შესაბამისად, ხორციელდება სარეკლამო ბროშურების ბეჭდვა და სარეკლამო მასალის განახლება, რომელთა განთავსება ხდება სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე, შიდა და საერთაშორისო გამოფენებზე. გარდა აღნიშნულისა, დაიბეჭდა სამი სახის ტურისტული რუკა (ზომა 150/180 სმ), ქალაქის არტ-რუკა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით აღრიცხული სამედიცინო მომსახურების, კვებისა და განთავსების სივრცეები დატანილი იქნა ბანერზე. ბროშურები, რომლებშიც ასევე შეტანილი იქნა განახლებული ინფორმაცია დაცული ტერიტორიების, მუზეუმების, მარნების, ბალნეოლოგიური ცენტრების შესახებ, დაიბეჭდა სამ ენაზე.

ცენტრის მიერ 2022 წლის 16 დეკემბერს იმერეთის ბარმენტა ასოციაციასთან გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობაზე: „მუნიციპალიტეტში გადამზადდეს - საერთაშორისო ხარისხის მქონე სერთიფიკატის სტანდარტების დაცვით მოქმედი და დამწყები ბარმენტები და მოხდეს მათი დასაქმება“. პროექტი წარმატებით განხორციელდა, რასაც ადასტურებს შესაბამისი ჯგუფის მონიტორინგის შედეგები.

რესტორან „მაგნოლიაში“ ჩატარდა წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც დასახელდა წლის გამორჩეული ბარისტა და მონაწილეებს სპონსორების მიერ საჩუქრებთან ერთად, ასოციაციამ და ცენტრმა გადასცა საერთაშორისო კატეგორიის სერთიფიკატები.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა“ სსც (სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი) „Edumediator“-თან თანამშრომლობით 2022 წელს დაიწყო და 2023 წელსაც წარმატებით განახორციელა სასწავლო პროგრამა: „დამწყები გიდების და მოქმედი გიდების კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ – (გიდების გადამზადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში). 2023 წლის თებერვალში, მოწვეული იქნა წლის გიდი ბათუმიდან თამუნა ორაგველიძე თავისი გუნდით, რომელმაც ცენტრის მიერ გადამზადებულ გიდებს ჩაუტარა სამდღიანი პრაქტიკული ტრენინგ-კურსი. თებერვალშივე რესტორან „მაგნოლიაში“ გიდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა დაჯილდოვება, სადაც გამოვლინდა „წლის საუკეთესო გიდები წყალტუბოდან“. ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო.

2023 წლის 22 მარტს წელის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მეექვსე აბაზანაში ჩატარდა მინი-კონფერენცია, რომელზეც მოწვეული იყო წარმომადგენლები წყალტუბოს ბალნეოლოგიური ცენტრებიდან („ბალნეოლოგიური კურორტი (წყარო 6, წყარო 1) და „Be Healthy“ ბალნეოლოგიური კურორტი & სპა (წყარო 2, წყარო 3)), კურორტოლოგები, ექიმები, ყოფილი სანატორიუმების დირექტორები, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა, იმერეთის ტურიზმის მართვის ცენტრი DMO-ს წარმომადგენლობა, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. მოწვეულმა სტუმრებმა თავიანთ სიტყვაში ისაუბრეს და გაიხსენეს საინტერესო ისტორიები, შეაფასეს მიმდინარე პროცესები და გაგვიზიარეს სამომავლოდ კურორტის განვითარებაზე მათი ხედვები.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა“ მის დაქვემდებარებაში მყოფ ინოვაციების ცენტრთან ერთად კომპანია „ნეტლაბ კორპორეიშენტან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2022 წელს განახორციელა უპრეცედენტო პროექტი წყალტუბოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რომელთაც უფასოდ გაიარეს „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინტენსიური 6 თვიანი კურსი. პროექტი წარმატებით განხორციელდა 2023 წელსაც და მონაწილეებს კურსის ბოლოს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები.

პროექტის - წყალტუბო „ადგილობრივი გიდები“ ფარგლებში 2023 წლის მაისში მოეწყო გასვლითი ღონისძიება ქალაქ დმანისში როგორც დამწყები, ასევე მოქმედი ადგილობრივი გიდებისათვის. ღონისძიების მიზანი იყო მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ღონისძიების თემა იყო: ზეზვა და მზია.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებასთან“ თანამშრომლობით 2023 წლის 23 ივნისს სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე. ახალგაზრდა სპორტსმენებმა და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გარბენში მიიღეს მონაწილეობა. ასევე გაიმართა ქუჩის კალათბურთი. გამარჯვებულ მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და დიპლომები გადაეცათ.

2023 წლის ივნისში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებასთან“ თანამშრომლობით ცენტრალური პარკის შესასვლელთან, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ მოეწყო მინი-ბაღი, სადაც შეიქმნა ყვავილებით მორთული მოსასვენებელი სივრცე ულამაზესი სკვერით.

რაც შეეხება გამოფენებზე მონაწილეობას, 2023 წლის აპრილში ცენტრი იმყოფებოდა ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე ყაზახეთში - “KITF 2023”. გამოფენის ფარგლებში, ტურისტული შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა, სადაც წყალტუბოს და ბათუმის ტურიზმის ცენტრებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები წარადგინეს. ვიზიტორებს მიეწოდა მაქსიმალური ინფორმაცია წყალტუბოს ტურისტული პოტენციალის შესახებ.

ცენტრმა იგივე აქტივობები განახორციელა 2023 წლის მაისში დუბაის საერთაშორისო გამოფენაზე „ATMDubai 2023“.

მონაწილეობა იქნა მიღებული 2023 წლის 19-21 მაისს ქალაქ ბათუმში EXPO BATUMI-ს ორგანიზებით ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ვიზიტორებს გაეცნო წყალტუბოს ტურისტული პოტენციალი, წარედგინა და გადაეცა წყალტუბოს სარეკლამო მასალა.

2023 წლის 7 ივლისიდან 9 ივლისის ჩათვლით ცენტრი იმყოფებოდა შპს „ექსპო ბათუმის“ მიერ ორგანიზებულ რიგით მე-4 საერთაშორისო გამოფენაზე.

2023 წლის 26-30 ივლისს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ მონაწილეობდა ზუმ-პლათფორმით გამართულ შეხვედრაში სახელწოდებით „ონლაინ დაჯავშნის სისტემების ბიზნეს მოდელების მიმოხილვა“.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ ორგანიზებით 2023 წელს არაერთი ტრენინგი ჩატარდა:

14 მარტი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სოციალური მედიის მართვა.

11 მაისი - ტრენინგი თემაზე: ინკლუზიური ტურისტული პროდუქტები და სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

15 მაისი - ტრენინგი თემაზე: საოჯახო სასტუმროს მართვა.

ცენტრმა უმასპინძლა საქართველოს ლაბორატორიის გუნდს, რომელმაც წყალტუბოში ბიზნესიდეის განაცხადის მომზადების თემაზე თავისუფალი ვორქშოფი გამართა. ვორქშოფის მონაწილეები საგრანტო განაცხადის ფორმას გაეცნენ და ყველა ის საჭირო რეკომენდაცია მიიღეს, რაც აუცილებელია გრანტის მოპოვების პროცესში.

ცენტრმა ასევე მასპინძლობა-გიდობა გაუწია საქართველოში ცნობილ ბლოგერს გივიკო დიდიას ქალაქში მდებარე ტურისტული ლოკაციების ცნობადობის გაზრდის კუთხით. ასევე მოწვეული იქნა ცნობილი მეცნიერი და არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი, რომლის სახელს უკავშირდება არქეოლოგიური გათხრა „ევროპის საწყისები“. სტუმარმა ლექციები ჩაუტარა ადგილობრივ გიდებს თემებზე: „როგორ მოვიდა საქართველო დღემდე“, „ევროპის საწყისები საქართველოში(ზეზვა და მზია)“. სადამოს უძღვებოდა ცნობილი პოეტი, მწერალი, მსახიობი, ისტორიკოსი და მთარგმნელი ერეკლე საღლიანი.

2023 წლის 22-26 აგვისტოს, სვანეთში კერძოდ სასტუმრო „მესტია რუთსი-ში“ გაიმართა მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“.

წყალტუბოში შეირჩა სეზონზე ყველაზე აქტიურად მომუშავე ტურისტული ლოკაციები. მათი პოპულარიზაციის და ადგილზე მყოფი დამსვენებლებისთვის კომფორტული გარემოს და გართობის მიზნით ჩატარდა მუსიკალური საღამოები „Accoustic night“.

2023 წლის 11 სექტემბერს სასტუმრო „წყალტუბო პლაზა“- ში ჩატარდა, შიდა ტურიზმის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ზაფხულის ტურისტული სეზონის დახურვის და შემოდგომის სეზონის გახსნის ღონისძიება. აღნიშნული მიმართულებით პრომეთეს მღვიმეში ასევე ჩატარდა სამდიანი ფესტივალი.

2023 წლის 31 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია - სტანდარტები ტურიზმში. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს ტურიზმის ასოციაცია. ამ ღონისძიების ერთ-ერთი სპონსორი გახლდათ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“. ღონისძიებას უმასპინძლა სასტუმრო ბილტმორმა.

2023 წლის 12 ნოემბერს, ქალაქ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რიმელიც ამავე წელს გახდა ოქროს გლობუსის ჯილდოს მფლობელი, გაიმართა ხილის ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“.

ცენტრმა ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, შექმნა მოქნილი ვებ-გვერდი, რომელიც მოიცავს კურორტში შემოსული ტურისტის, ვიზიტორის, დამსვენებლისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ინფორმაციას მათთვის საჭირო ლოკაციების შესახებ. გვერდზე განთავსდება ტურისტისთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაცია, რათა მათთვის კიდევ უფრო მიმზიდველი და კომფორტული გახდეს წყალტუბოში დასვენება. ვებ-გვერდის დასახელება: [visittskaltubo.com](http://visittskaltubo.com).